ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-0118346971**
თარიღი: **12/12/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 8 ნოემბრის თქვენი N 17-01183123153-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.001.227) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1619716) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზების სქემა. სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა იყოს წარმოდგენილი A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი.

შესაბამისად სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორების შემდეგ. ხარვეზები წარმოდგენილია დანართის სახით.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

არ არის წარმოდგენილი

- მაკრო ზონის მოდალური განაწილება. შესაბამისად, ყველა შემდგომი გამოთვლა არასწორია.
- საოფისე ფართობის მიხედვით ვიზიტორების მგზავრობები.
- ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ზოგადი შენიშვნები

- წარმოდგენილი სქემები: არ არის დასათაურებული, არ აქვს ლეგენდა, შესაბამისად სქემები არ არის კითხვადი.
- სქემის მიხედვით, 17 შინდისელი გმირის და ჯავახეთის ქუჩების კვანძზე არ არის საქვეითე გადასასვლელი, თუმცა, გადასასვლელი მონიშნულია საზ.ტრანსპორტთან მისაწვდომობის რუკაზე.
- ყველა საველე სამუშაოს (დათვლას) უნდა ჰქონდეს მითითებული თარიღი და დათვლის დრო.
- გთხოვთ მოყვანილ ცხრილებში სვეტები და ველები დაასათაუროთ გასაგებად, ან გამოიყენოთ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ რეკომენდირებული ცხრილის ფორმატი. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ხშირად გაურკვეველია ცხრილში მოცემული ინფორმაცია.
- დოკუმენტში მოყვანილი ყველა გამოთვლა და ფორმულა უნდა იყოს განმარტებული ან ძირითად ტექსტში ან დანართში.
- გზების და კვანზების გამტარუნარიანობა და დატვირთულობა უნდა იყოს წარმოდგენილი კოეფიციენტების სახით (ინტენსივობა / გამტარუნარიანობა = დატვირთულობის კოეფიციენტი).
- წარმოდგენილი მასალის თანმიმდევრობა არ მიჰყვება ტზშ-ს პუნქტებს. მაგალითად რეკომენდაციები მოცემულია ზეგავლენის საველე კვლევის თავში.
- გაურკვევლია სამანქანო ნაკადების მომდევნო წლების პროგნოზის საფუძველი, გარდა ამისა, პროგნოზში როგორც ჩანს არ არის გათვალისწინებული სატრანსპორტო პოლიტიკისა და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებში ინვესტიციების ზეგავლენა მოდალურ განაწილებაზე და შესაბამისად სამანქანო ნაკადების დინამიკაზე.

კონკრეტული შენიშვნები

- გვერდი 60 - ცხრილ #10 გამოთვლის მეთოდი უნდა იყოს განმარტებული.
- გვერდი 62 - ცხრილი 3.2.1 - მოდალური განაწილება უნდა იყოს გამოთვლილი კონკრეტული მაკრო ზონის ან რამდენიმე მიკრო ზონის საფუძველზე, წარმოდგენილი მოდალური განაწილება მე-18 მაკროზონისთვის - არასწორია.

დანართი : შენიშვნები

- გვერდი 70-71 - დატვირთულობის და საპროგნოზო რეზერვების ცხრილები ასევე უნდა აჩვენებდეს საპროგონოზო დატვირთულობის კოეფიციენტს.